ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1436174

ნომერი: AR1242317

თარიღი : 06.08.2014

გაცემის თარიღი : 27.08.2014

გაცნობის თარიღი : 27.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 6 აგვისტოს #AR1242317 განცხადებით მომართა ი.მ.ა. "ნუცუბიძე 2014"–ის თავმჯდომარემ კახაბერ გოზალიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა, კერძოდ წარმოდგენილი გასწორებული გეგმების დართვა აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ქუჩა ნიციბიძე N129-ში, ი.მ.ა. "ნუცუბიძე 2014"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.02.025.127), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, შეთანხმებულ პროექტში სართულის გეგმების ნახაზზე ზოგიერთი ბინის მთლიანი ფართის დათვლისას (ბინის ფართი + აივნის ფართი) დაშვებულია მექანიკური შეცდომა. წარმოდგენილი თანდართული ფაილები ითვალისწინებს აღნიშნული შეცდომის გასწორებას, ამასთან ცვლილება არ აისახება შეთანხმებული ტექნიკური მაჩვენებლების არცერთ პარამეტრზე, რადგან ბინის მთლიანი ფართი (ბინის ფართი + აივნის ფართი) სართულის გეგმების ნახაზების გარდა არსად არ ფიგურირებს. აქედან გამომდინარე იგი ითხოვს შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში არსებული გეგმების ჩანაცვლებას გასწორებული გეგმებით.

სამასხურმა შეამოწმა 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ნახაზები და დაადგინა, რომ გეგმებზე ფართები არსწორად არის დაჯამებული და ცვლილება არ აისახება ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მჩვენებლებზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ი.მ.ა. "ნუცუბიძე 2014"–ის თავმჯდომარის კახაბერ გოზალიშვილის 2014 წლის 6 აგვისტოს #AR1242317 განცხადება;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების (0.00; 3.30; 13.20 და 19.80 ნიშნულები) PDF ფაილები შეიცვალოს წარმოდგენილი გეგმების (0.00; 3.30; 13.20 და 19.80 ნიშნულები) PDF ფაილებით;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივნისის #1354944 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.